მსოფლიო პრაქტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

სიახლეები

საბერძნეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება აუტიზმის სპექტრის მქონე არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების შესახებ

შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ("PFPDT") სახელმძღვანელო რეკომენდაცია „მზა ჩანაწერების" ("Cookies") შესახებ

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება ენერგეტიკული კომპანიისა და მასთან დაკავშირებული სააგენტოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ

იტალიის მონაცემთა დაცვის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ("Garante") ენერგეტიკულ სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო[1]. ენერგეტიკულ კომპანიას ("Acea Energia S.p.A") დაეკისრა 3 მილიონი ევროს ოდენობით ჯარიმა, ხოლო მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სააგენტოს ჯამში 850,000 ევროს ოდენობით.

ნოემბერი 2025

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები მუშავდებოდა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, მათი წინასწარი თანხმობის გარეშე.
მომხმარებლები, რომლებმაც შეცვალეს ენერგომომწოდებელი კომპანია, იღებდნენ სატელეფონო ზარებს არაუფლებამოსილი ქოლ-ცენტრებისგან. სატელეფონო კომუნიკაციის დროს ოპერატორები მომხმარებლებს აცნობდნენ არარსებული პრობლემების (მაგ. გადართვისას წარმოშობილი ტექნიკური ხარვეზები) შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ახალი, არასასურველი კონტრაქტების გაფორმებას.

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქოლ-ცენტრები იყენებდნენ პერსონალური მონაცემების სიებს, რომლებიც მოიცავდა:

- მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელ და საკონტაქტო მონაცემებს;
- ინფორმაციას მიმდინარე და წინა კონტრაქტების შესახებ;
- მომსახურების მისამართს, გადახდის ფორმასა და სხვა კომერციულ მონაცემებს.

აღნიშნული მონაცემები ხშირად მოპოვებული იყო ისეთი კომპანიებისგან, რომლებსაც არ ჰქონდათ მომხმარებელთა ნებართვა, რაც აშკარად არღვევდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციას“ (“GDPR”).

საქმის შესწავლის დეტალები
იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ საქმის შესწავლა იტალიის ფინანსური პოლიციის სპეციალური დანაყოფისა და ჟურნალისტის ერთობლივი შეტყობინების საფუძველზე დაიწყო. საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა:
- ქოლ-ცენტრები არ იყვნენ რეგისტრირებულნი იტალიის კომუნიკაციების ოპერატორთა სახელმწიფო რეესტრში;
- მათ არ ჰქონდათ ოფიციალური მანდატი “Acea Energia”-სგან ან სხვა დამკვეთებისგან;
- მომხმარებლების მონაცემები გროვდებოდა სხვადასხვა სხვა კომპანიისგან, წინასწარი შეთანხმების გარეშე;
- “Acea Energia”-ს წარმომადგენლები საქმის გარკვეულ ეტაპზე ინფორმირებულნი იყვნენ აღნიშნული პრაქტიკის შესახებ, თუმცა ქმედითი ზომები მხოლოდ მოგვიანებით მიიღეს.

სამართლებრივი შეფასება
საქმის შესწავლის შედეგად, იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ შემდეგი მუხლების დარღვევა დაადგინა“[2]:
- მუხლი 5 - პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული პრინციპები;
- მუხლი 6 - მონაცემთა დამუშავების კანონიერება;
- მუხლი 7 - თანხმობის პირობები;
- მუხლი 13 - მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში;
- მუხლი 24 - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობა;
- მუხლი 25 - მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში („Privacy by Design“) და მონაცემთა დაცვა პირველად პარამეტრად („Privacy by Default“);
- მუხლი 28 - დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი;
- მუხლი 32 - მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოება.

ასევე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ქმედებები წინააღმდეგობაში იყო იტალიის ეროვნული მონაცემთა დაცვის კოდექსის 130-ე მუხლთან, რომელიც კრძალავს უნებართვო მარკეტინგულ ზარებს.

იტალიის საზედამხედველო ორგანოს მიერ დაკისრებული სანქცია:
“Acea Energia”-ს დაეკისრა ჯარიმა 3 მილიონი ევროს ოდენობით. აგრეთვე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაევალა იმ პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომელთა მონაცემებიც მუშავდებოდა უკანონოდ და მონაცემთა დაცვის მოთხოვნებთან ორგანიზაციაში მოქმედი ყველა ქვეკონტრაქტორის იდენტიფიცირება და შეფასების უზრუნველყოფა.
სააგენტოებს, რომლებსაც არ ჰქონდათ უფლებამოსილება და იყენებდნენ დაუდასტურებელი წყაროებიდან მიღებულ მონაცემებს, დაევალათ:

- შეწყვიტონ მსგავსი სიების გამოყენება;
- დაასაბუთონ საკონტაქტო მონაცემების მოპოვების კანონიერება.

შესწავლილი საქმე ცხადყოფს, რომ პერსონალური მონაცემების უკანონო გამოყენება და მომხმარებელთა მოტყუებით პირდაპირი მარკეტინგის განხორციელება დაუშვებელია.
კომპანიებს, რომლებიც იყენებენ სატელეფონო გაყიდვების არხებს ან აფილირებულ სააგენტოებს, ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა პარტნიორი კომპანიების მოქმედებებზე და ვალდებულნი არიან დაიცვან მომხმარებელთა უფლებები, მათ შორის: მონაცემთა დამუშავების შესახებ მიეწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია და, აგრეთვე, მონაცემთა დამუშავებაზე ჰქონდეთ თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობა. დამატებით, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მონაცემთა უსაფრთხოება.

შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (“PFPDT”) სახელმძღვანელო რეკომენდაცია „მზა ჩანაწერების“ (“Cookies”) შესახებ



შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (“PFPDT”) „მზა ჩანაწერების“ (“Cookies”) განახლებული სახელმძღვანელო რეკომენდაციის[1] მიზანს 2025 წლის 22 იანვრის ტექსტის გამარტივება, შევსება და დაზუსტება წარმოადგენდა.

მთავარი ცვლილებები:

1. პერსონალიზებული რეკლამები და თანხმობა

ზოგიერთი სახის „მზა ჩანაწერის“ გამოყენება, განსაკუთრებით რეკლამის კონკრეტულ პირებზე მორგების მიზნით უნდა ეფუძნებოდეს მომხმარებლების თანხმობას. ადმინისტრატორის მიერ მესამე მხარის “Cookies” ფაილების ან მსგავსი ტექნოლოგიების ვებგვერდზე ინტეგრირებისას აღნიშნულით ვიზიტორებს პერსონალური მონაცემების მოპოვების საშუალება ეძლევათ. შედეგად, მათ შეუძლიათ პროფაილინგის განხორციელება, რაც წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის პირადი მონაცემების უსაფრთხოების მნიშვნელოვან დარღვევას.

1. ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები და მათთან დაკავშირებული რისკები
2.

განახლებულ სახელმძღვანელოში დასახელდა ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული რისკები. ერთი მხრივ, ონლაინ სივრცეში ამ ტიპის მონაცემების შეგროვება ამარტივებს მომხმარებლის რეალური იდენტობის დადგენას (მაგალითად, იმის მეშვეობით, თუ სად იმყოფება მოწყობილობა ღამის ან დასვენების საათებში ან რომელი მისამართია ხშირად გამოყენებული სამუშაო დღეებში); მეორე მხრივ, ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა მომხმარებლების პიროვნული მახასიათებლების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნულ მონაცემებზე დაფუძნებული პროფაილინგი ხშირად წარმოადგენს პიროვნების რეალური იდენტიფიცირების რისკს.

1. "Cookie paywalls"
2.

სახელმძღვანელოს განახლებული ვერსიაში დაკონკრეტდა, თუ რა პირობებში შეიძლება იყოს „მზა ჩანაწერებისთვის“ თანხმობის მიცემა იურიდიული ძალის მქონე, კერძოდ, როდესაც მომხმარებელს აქვს არჩევანი: თანხმობა განაცხადოს „მზა ჩანაწერებზე“ ან მომსახურების საფასურის გადახდის სანაცვლოდ არ დაეთანხმოს მას.

„მზა ჩანაწერების“ შესახებ სახელმძღვანელო რეკომენდაციის განახლებული ვერსია შესაბამისობაშია მონაცემთა დაცვის კანონთან, დადგენილებასთან და სხვა სამართლებრივ დებულებებთან, აგრეთვე, ფედერალური სასამართლოსა და საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკასთან.

საზედამხედველო ორგანო, „მზა ჩანაწერების“ გამოყენების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, გეგმავს არაერთი აქტივობის განხორციელებას.

საბერძნეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება აუტიზმის სპექტრის მქონე არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების შესახებ

ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ ჯანდაცვის სფეროში, ეკისრებათ პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით დამუშავების ვალდებულება.[1] 2025 წლის 24 ივნისს, საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“HDPA”) მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება,[2] რომელიც შეეხება აუტიზმის სპექტრის მქონე პირებთან მომუშავე ასოციაციის მიერ არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებას.

ფაქტობრივი გარემოებები

საზედამხედველო ორგანოს საჩივრით მიმართეს არასრულწლოვანის მშობლებმა, რომელთა შვილი მონაწილეობდა აუტიზმის სპექტრის მქონე პირებთან მომუშავე ასოციაციის - „დავითის ფარის“ - თერაპიულ პროგრამაში. მშობლებმა, როგორც არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენლებმა, განაცხადეს, რომ ასოციაციამ დაარღვია „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ (“GDPR”) დადგენილი არაერთი პრინციპი. დავა შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- მონაცემთა გაცნობის უფლების დარღვევა - მშობლებმა მიმართეს ასოციაციას და მოითხოვეს შენობაში მოქმედი ვიდეომონიტორინგის სისტემიდან იმ ჩანაწერების ასლის გადაცემა, რომლებშიც ასახული იყო მათი შვილის თერაპიული სესიები. მოთხოვნის მიზანი იყო გაერკვიათ, როგორ მიიღო არასრულწლოვანმა სხეულის დაზიანებები ცენტრში ყოფნისას. ასოციაციამ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არგუმენტით, რომ ვიდეოჩანაწერები ავტომატურად იშლებოდა 48 საათის შემდეგ. ამასთან, მათი მტკიცებით, ასოციაციის თანამშრომლებმა უარი განაცხადეს გარკვეული ჩანაწერების გადაცემაზე, ვინაიდან კადრებში თავადაც ჩანდნენ.
-
- მშობლები ასევე დავობდნენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონო გადაცემაზე. როგორც დადგინდა, ასოციაციამ მშობელთა წინასწარი თანხმობის გარეშე კერძო კომპანიას - “Balkaniki EPE” - გადასცა შემდეგი მონაცემები: არასრულწლოვანის თერაპიული ინტერვენციის პროგრამა, დიაგნოსტიკისა და მხარდაჭერის ცენტრის სამედიცინო დასკვნა და არასრულწლოვანის პროგრამაში ჩარიცხვისას შეგროვებული სამედიცინო ისტორია. მონაცემთა გადაცემის მიზნად ასოციაციამ დაასახელა თერაპიული პროგრამის შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, მისი შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
- სასამართლო გადაწყვეტილების მონაცემთა მიმღებთა ფართო წრისთვის გაზიარება - მშობლებსა და ასოციაციას შორის სამართლებრივი დავის ფარგლებში, ეროვნულმა სასამართლომ მიიღო შუალედური გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ასოციაციას, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს, მიენიჭა უფლება, უარი განეცხადებინა არასრულწლოვანის თერაპიულ პროგრამაში მონაწილეობის გაგრძელებაზე. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ასოციაციამ აღნიშნული დოკუმენტი გაავრცელა მონაცემთა მიმღებთა ფართო წრეში - პარტნიორ ორგანიზაციებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სხვა დაწესებულებებში - არგუმენტით, რომ სურდა მათთვის ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული უფლების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილება შეიცავდა არასრულწლოვანისა და მისი მშობლების პერსონალურ მონაცემებს.

საზედამხედველო ორგანოს შეფასება

წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით საბერძნეთის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა შემდეგი:

- მონაცემთა გაცნობის უფლება

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-15 მუხლის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

- ასოციაცია, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ვალდებული იყო მონაცემთა გაცნობის თაობაზე მოთხოვნა განეხილა დაუყოვნებლივ და არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
- ამასთან, თანამშრომელთა ინტერესებზე ზოგადი მითითება ვერ წარმოადგენდა მონაცემებზე წვდომის შეზღუდვის საკმარის საფუძველს. ასოციაციას ევალებოდა დაემტკიცებინა, რომ მონაცემთა სუბიექტის კანონიერი წარმომადგენლებისთვის ჩანაწერების მიწოდება მნიშვნელოვნად დააზარალებდა მესამე პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.
- ბოლოს, მონაცემთა გადაცემაზე უარის თქმის ნაცვლად შესაძლებელი იყო ტექნიკური ზომების მიღება, როგორიც არის თანამშრომელთა გამოსახულების ტექნიკური დაფარვა და მონაცემთა სუბიექტისთვის ჩანაწერების ამ ფორმით გადაცემა.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ასოციაციამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ მშობლებისთვის ვიდეოჩანაწერის გადაცემით დაირღვეოდა ასოციაციის თანამშრომლების უფლებები. ამასთან, ასოციაციას არც უცდია შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ჩანაწერებში თანამშრომელთა გამოსახულებების დაფარვა და ჩანაწერების ამ ფორმით გადაცემა. შესაბამისად, “HDPA”-მ დაადგინა, რომ ორგანიზაციამ დაარღვია “GDPR”-ის მე-12 (2) და მე-15 მუხლები.

- არასრულწლოვანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გადაცემა მესამე პირზე

საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ მშობელთა წინასწარი თანხმობის გარეშე არასრულწლოვანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მესამე პირზე გადაცემით, ასოციაციამ დაარღვია “GDPR”-ის მე-5, მე-13 და 24-ე მუხლები.

“HDPA”-მ ხაზი გაუსვა, რომ მონაცემთა გადაცემისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

- მონაცემთა სუბიექტებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) წინასწარ აცნობოს მონაცემთა შესაძლო გადაცემის თაობაზე;
- უზრუნველყოს ან შეიმუშავოს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გადაცემისას სამართლებრივი საფუძველი;
- მიიღოს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.
- მონაცემთა არაპროპორციული გავრცელება ადრესატთა ფართო წრესთან

“HDPA”-მ დაადგინა, რომ ასოციაციის მიერ სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილების (რომელიც შეიცავდა როგორც არასრულწლოვანის, ასევე მისი მშობლების პერსონალურ მონაცემებს) ადრესატთა ფართო წრესთან გაზიარებით დაირღვა მიზნის შეზღუდვის, მონაცემთა მინიმიზაციისა და გამჭვირვალობის პრინციპები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის მიზანი შესაძლოა ლეგიტიმური ყოფილიყო (პარტნიორი დაწესებულებებისთვის სამართლებრივი პოზიციის გაცნობა), მსგავსი მიზანი მიიღწეოდა დოკუმენტის ანონიმიზებული ფორმით გავრცელებითაც, იდენტიფიცირებადი მონაცემების გამჟღავნების გარეშე. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა “GDPR”-ის მე-5 და მე-13 მუხლების დარღვევა.

- საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულება

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია თავისი საქმიანობის განხორციელებისას, მოთხოვნის საფუძველზე, ითანამშრომლოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან.

წინამდებარე შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე საზედამხედველო ორგანომ დაიწყო განცხადებასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლა. მოკვლევის პროცესში ასოციაციის პასუხები კი იყო არასრული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ორგანოს საქმიანობა. შედეგად, “HDPA”-მა დაადგინა “GDPR”-ის 31-ე მუხლის დარღვევა.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ასოციაციამ დაარღვია “GDPR”-ის მე-5, მე-12, მე-13, მე-15-ე, 24-ე და 31-ე მუხლები. დარღვევების ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით, დაწესებულებას დააკისრა ჯარიმა 10 000 ევროს ოდენობით.

საზედამხედველო ორგანომ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული დარღვევები შეეხებოდა “GDPR”-ის ფუნდამენტურ პრინციპებს - კანონიერებას, გამჭვირვალობას, პროპორციულობასა და ანგარიშვალდებულებას - და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ორგანიზაციებმა, რომლებიც ამუშავებენ არასრულწლოვნების მონაცემებს, უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე, პროფესიული პასუხისმგებლობა და უზრუნველყონ მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობა.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge